## 2023/2024 სასწავლო წლისათვის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

## სადოქტორო პროგრამებზე დაშვების წინაპირობები

| საგანმანათლებლო ერთეული | აკრედიტაციის საბჭოს გაწყვეტილების N და ვადები | პროგრამა | საუნივერსიტეტო საკონკურსო მოთხოვნები | პროგრამაზე დაშვების წინაპირობა |
|---|---|---|---|---|
| სამშენებლო ფაკულტეტი | აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N 595604 18.06.2021<br><br>აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი: 31.12.2026 | მშენებლობა | • გასაუბრება საფაკულტეტო დროებით კომისიასთან.<br>• ინგლისური ენის გამოცდა შენიშვნა: გამოცდა ჩატარდება ტესტირების ფორმით სტუ-ს საგამოცდო ცენტრში | მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დიპლომი. მხედველობაში მიიღება სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა; სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა; სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები და მასალები (სერტიფიკატები, სიგელები,პატენტები და ა.შ.).<br><br>პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარმოადგინოს: კვლევითი პროექტი, სადაც გამოიკვეთება აპლიკანტის კვლევის მიზანი და მიმართულება; სავალდებულოა ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი სერთიფიკატის/დოკუმენტის წარმოდგენა. აპლიკან-ტი, რომელიც ვერ წარმოადგენს აღნიშნულ სერტიფიკატს, ვალდებულია ტესტირება გაიაროს სტუ-ს კომპიუტერულ ცენტრში ინგლისურ ენაში. აპლიკანტებს, რომლებსაც ერთ-ერთი საფეხურის უმაღლესი განათლება მიღებული აქვთ ინგლისურ ენაზე გამოცდის ჩაბარება ან სერტიფიკატის წარმოდგენა არ მოეთხოვებათ;<br><br>ინგლისურ ენაში დადებითი შეფასების მიღების |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | **შემთხვევაში აპლიკანტი გადის გასაუბრებას საფაკულტეტო დროებით კომისიასთან.**<br><br>დოქტორანტურაში მიღების წესი და ჩარიცხვის პირობები მოცემულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: https://gtu.ge/<br><br>საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე, შესაძლებელია, მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 2 თებერვლის ბრძანება №10/ნ-ით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ შესაბამისად. https://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/brZ_10n_16032018_SD.pdf<br><br>საგანმანათლებლო პროგრამაზე ასევე დაიშვებიან მსურველები შიდა მობილობის წესით. შიდამობი-ლობის ვადები და პროცედურები დგინდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დაინფორ-მაცია თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე. |
| | აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N 64 19.03.2019<br><br>აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი: 31.12.2030 | სამხედრო ინჟინერია | • **გასაუბრება საფაკულტეტო დროებით კომისიასთან**<br>.<br>• **უცხო ენის გამოცდა** (ერთ–ერთ უცხოურ ენაში **ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული).**<br>შენიშვნა: გამოცდა ჩატარდება ტესტირების ფორმით სტუ-ს საგამოცდო ცენტრში | **მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დიპლომი ინჟინერიის მიმართულებით, შეიარაღებული ძალების უფროსი და უმაღლესი წოდების ოფიცრები, ასევე ის ოფიცრები, რომელთა სამსახურებრივ ფუნქციებში შედის სამხედრო საინჟინრო უზრუნველყოფის საკითხებიც; მხედველობაში მიიღება:** შრომითი პროფესიული საქმიანობა; სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა; სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა; სასწავლო/კვლევითი და პროფესიულ საქმიანობას თან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები და მასალები (სერტიფიკატები, სიგელები, პატენტები |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | და ა. შ.); **პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებმა უნდა წარმოადგინოს ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი (B2 დონის შესაბამისი) ან გაიაროს ტესტირება სტუ -ს ტესტირების ცენტრში ერთ-ერთ უცხოურ ენაში ( ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული). აპლიკანტს, რომელსაც განათლება მიღებული აქვს ზემოაღნიშნულ რომელიმე უცხოურ ენაზე, ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა არ მოეთხოვებათ.**<br>დოქტორანტურის პროგრამასთან დოქტორანტობის კანდიდატის შესაბამისობას ადგენს საფაკულტეტო დროებითი კომისია სტუ-ს დოქტორანტურის დებულების შესაბამისად. დოქტორანტურაში მიღების წესი და ჩარიცხვის პირობები მოცემულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: https://gtu.ge/<br>საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე, შესაძლებელია, მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 2 თებერვლის ბრძანება №10/ნ-ით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ შესაბამისად.<br>https://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/brZ_10n_16032018_SD.pdf<br>საგანმანათლებლო პროგრამაზე ასევე დაიშვებიან მსურველები შიდა მობილობის წესით. შიდა მობილობის ვადები და პროცედურები დგინდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით და ინფორმაცია თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე. |
| | | | | |